პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

# ტარტაროზი

ფასი ორი შაური

№ 32 | კვირა, 17 იანვარი, 1926 წელი. | № 32

## პროტექციის „ბარათები"



იწერება ბარათი ფანქრითა, თუ კალამით, —
იწყება და თავდება ხამელით და სალამით.

„თუ კაცი ხარ, ეს კაცი... კაცი არის ნამდვილი, —
კი გეჯნება, მიეცი მას რაიმე ადგილი".

# კრიზისების გრიგალი

ევროპის მზე ჩადის... კრიზისების ქარი შეუწყვეტლივ დაქრის ევროპის ყველა ქვეყნებში.. ყველგან დეფიციტი. ფრანკი ეცემა.. ზლოტი ეცემა... ვენგრია ტრილიონობით ყალბ ფრანკებს უშვებს გაკოტრების ასაცდენათ... ამერიკა ვალებს თხოულობს და სულთამხუთავივით ადგია თავზე მთელ ევროპას...

(გაზეთებიდან).

სალამო ნაადრევი...
ჩადის მზე მთების იქით.
ევროპა მომაკვდავი
დამძიმებული ფიქრით...

გასცქერის მწარეთ სივრცეს
თვალები შუქჩამქრალი...
ქუჩებში სუსხიანი
დაქრის ზმუილით ქარი...

გააქვთ გლიჯინი ფანჯრებს,
კარებს და სახურავებს...
და აკანკალებთ ტანში
იატაკის ქვეშ ძაღლებს

დილია... მწარე [illegible]...
პირველი ვინ იქნება?..
გვირგვინი კი მთას იქით
სადღაც წყვდიადში ქრება.

სხდომები... ტელეგრაფი
ყვება ძველისძველ იგავს...
გზაჯვარედინზე ოქმით
დამდგარა ერთა ლიგა.

განწირულ ქვეყნის შველას
და გადარჩინას ჩემობ!
ქარის გრიალი მძლავრი
სურს კალთით შეაჩეროს.

ეს იყო—ძველი ფრანკი
და ახალგაზრდა ზლოტი,
უდროოდ დანგრეული
აღმოსავლეთის ფრონტი...

ძლივას ბრუნდება პირში
ქვითინისაგან ენა...
იკითხეს ერთმანეთის
გაჭირვება და ლხენა.

ქარია... ქარი მძლავრი
სადღაც შორს რაღაც იწვის...
— ას შვე[illegible]ი, ქალო ჩ[illegible],
გაზრდილო ასე სიმწრით!..

ამ წყვდიად, სასტიკ ღამეს,
ქუჩაში აქ რა გინდა?..
შენ რას გაუძლებ ამ ქარს,
როცა მიათრევს ლიგას!..

რას დაყრდნობიხარ მაგ ჯოხს,
რად დაგკარგვია ფერი?..
უდარდელ ცხოვრებისთვის
მოგეცა ყველაფერი!..

— კარგია, დედაჩემო,
შენგვარი დედის ყოლა...
მხოლოდ გადავყევ თითქმის
შენს ნაჩუქარის მოვლას!..



გრიალებს ქარი... მიჰქრის...
მიქრიან გვირგვინები.
სდევენ პრინცები უკან
ვედრებით და გინებით.



ეს იყვენ: ძველი ფრანკი
და ახალგაზრდა ზლოტი...
უდროოდ დანგრეული
აღმოსავლეთის ფრონტი.

კედლებს მიუვალს უწინ
ქარი გიჟივით ახტის,
და ყირავდება სადღაც
ვიღაც უიღბლოს ტახტი...

სადღაც ინგრევა რაღაც...
კაკანობს ტყვიისმფრქვევი.
ტანკები ხნავენ მიწას
და ცეცხლი ზევით... ქვევით...

არ შველის ელექტრონი.
როგორც საფლავში ბნელა.—
ღრუბლებში ჯვარის ნაცვლად
დაცურავს სახრჩობელა.

ბომბების ხათქი-ხუთქი.
მხეცის ღრიალი ავი.
და ობლად მიგდებულის
ხრიალი მომაკვდავის...

გრიალებს ქარი... მიქრის...
მიქრიან გვირგვინები.—
სდევენ პრინცები უკან
ვედრებით და გინებით...

მაგრ ? ვერ უძლებს ფეხი,
წევს იალქნობას კალთა;
სულ ცოტა... და თვით ლიგას
გადაისროლის ცხრა მთას...

ქარია სუსხიანი,—
ყმუიან მწარეთ მგლები,—
და ქრიან ფოთლებივით,
ტახტები... გვირგვინები...

ელექტროს დამპალ ბოძთან
შეხვდენ ისინი ორი:
ერთი მეორის ღირსი,
ერთი მეორის სწორი.

დედა ძლივსა დგას ფეხზე
ქარისგან თმა აშლილი,
მოათრევს ოჩაფეხებს
ერთ დროს მამაცი შვილი.

მოხრიათ საცოდავათ
ზარბაზნების ქვეშ წელი...
შემოცვეთიათ ტანზე
ძვირფასი სამოსელი.

თოფებს და ბრონევიკებს
სჭირია დიდი ხალხი,
და მას ხომ, საყვარელო,
მე თვითონ ვინახავდი.

იქ ამბოხება, ჯახყი...
აქ აფეთქება კიდევ...
და საზღვრებს, შენაც იცი,
აღარც კი უჩანს კიდე...

შინ სენი საშინელი,
ჭირივით მოარული,
და მეზობლები კიდევ
შურიანი და კრული!..

ეხლა დავეძებ მოოგანს,
იქნებ კვლავ რამე მენდოს,
იქნება თავის ფრთებს ქვეშ
ამალომ შემიკედლოს...

სესხი, და მხოლოდ სესხი
თუ გადამარჩენს დედი...
ახ, რატომ... რატომ დამყვა
თავიდან მე ეს ბედი?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი, რა ქარია... სუსხი...
ი, რა რიგ ცივა მართლა!..
მენ კი, დედილო ჩემო,
მენ რაღა დაგემართა?..

ვიღაცა პრემიერის
მიქრის ჰაერში ფრაკი...
და ატირდება უცბად
უწინ ძლიერი ფრანკი:

როგორ ვასწავლო ჭკუა
შორს უდაბნოში დრუზებს,
ასე უდროოდ, უცბათ
თავში კეტი რომ მდრუზეს...

პრემიერების ძებნამ
გამხადა შვილო ავათ...
შინ და გარეშე სესხმა
მომკლა და გამათავა.

ყალბ ათასიან ფრანკთა
ტრილიონები ცვივა...
და ფრანკს გაცრეცილს ისეც
როგორც საფლავში ცივა...

ქარი კი დაგრიალობს...
მიქრიან ფრანკი... ზლოტი...
ეშმაკი მუსოლინი
ჩასჭიდებია „ზონტიკს".



ლოცულობს პაპთან ერდათ...
მიჰქრის და არა ცხრება...
ჰგონია: გადარჩება
მიწაზე დანარცხებას.



უკვე აღძრული მადით
ხარხარებს დაუესი.
ცოტა და... აეგება
გაფცქვნილ ევროპას წესი.

— ხედავ, მიმსხვერპლა, შვილო,
მეც ამ წყეულმა ქარმა...
ვალებმა უამრავმა
იმედი გამიქარვა.

თახ საზღვრებს აღმოსავლით
ვერ ვხედავ რაღაც მაგრათ...
გრიგალი ესე მწარე
იქიდან მოჰქრის ალბათ!..

მიმაფრენს... დამისუსტდენ
უწინ მაგარი მკლავნი...
არ მშველის საფინანსოს
ვერც ერთ მინისტრის პლანი...

მანქანები და ბეჭდვა...
გავცდი მისახვედრ ციფრებს...
რომელ ერთს გაუმაგრდე
ვალებს, თუ ველურ რიფებს?..

გზა კი ერთია... ერთი...
ამერიკა და... ქუჩა!..
ნუთუ ოცნება ესე
კვალად ჩაივლის ფუჭად...

და ფრანკი ზეცას უცქერს,
იქ კი რა რიგად ბნელა...
ღრუბლებში ქრისტეს ნაცვლად
დაცურავს სახრჩობელა...

სტირიან დედა-შვილი;
არსაიდან სჩანს შველა...
თავიანთ სოროებში
დროზე შემძვრალა ყველა...

ვიღაც ხრიალებს... თითქოს
ამოშრობია ყრონტი...
დაძრწიან სიბნელეში
ვინდიშგრეცი და ხორტი.

ლოცულობს პაპთან ერთად,
მიქრის და არა ცხრება...
გონია გადარჩება
მიწაზე დანარცხებას...

ბნელა... არ უჩანს ბოლო
თხრილებს და ღრმა ორმოებს.
შორიდან ვიღაც ხარბათ
დაცქერის მიდამოებს.

უკვე აღძრული მადით
ხარხარებს დაუესი.
ცოტა და... აეგება
გაფცქვნილ ევროპას წესი...

გრიგალი დაფარფაშობს...
ყმუიან მწარეთ მგლები...
და ქრიან ფოთლებივით
ტახტები... გვირგვინები!..

**სინემატო.**

# „გოჭი"

ახალ წლის წინა დღით დავინახე ვანო.

მართალი უნდა გითხრათ: ქუჩაში მისი დანახვა ჩვეულებრივი თვალით არც ისე ადვილია, რადგან ვანო მეტად პატარა კაცია.

როცა იგი სდგას და ლაპარაკობს, ამხანაგები ხშირად ახელებენ:

— ზრდილობა იქონიე, ადექი და ისე გამელაპარაკეო...

რა მისი ბრალია, რომ იგი ღმერთს თუ მშობლებს ასე პატარა გაუჩენია. ამისათვის ვანო საყვედურს არავის ეუბნება; პირიქით, მადლობელიც არის, რადგან ამ სიძვირის და ხელფასის სიმცირის დროს, სხვებზე უფრო ადვილად ახერხებს ტანსაცმელის შეკერვას... და ამიტომაც სხვებზე უკეთესად აცვია.

ჰო-და ეს პატარა ვანო მე დავინახე, როცა მას ბაზარში გოჭი ეყიდა და სახლში მიჰქონდა.

რასაკვირველია: მე მას ვერ დავინახავდი, რომ ჩემი ყურთა-სმენა არ მიეპყრო გოჭის ჭყვირილს... არა მარტო მე,—მთელმა ქუჩამ დაინახა ვანო.

ცოცხალი გოჭი, რომელიც ალბად გრძნობდა სიცოცხლის დასასრულს ძველ წელთან ერთად, ისე ღრიალებდა, რომ ამ ჩვენ ვანოს მთვრალ კაცსავით ხან იქ მიანარცხებდა და ხან ქ.

— ყოჩაღად იყავი, არ წაგაქციოს; თუმცა თანატოლი ხართ, მაგრამ ნუ გეშინია—ამხნევებდენ გამვლელები ვანოს, რომელიც ისე დაქანცულიყო ამ თანაბარ ბრძოლაში, რომ კინაღამ გაუშვა გოჭს ხელი, რათა ამ ხალხის წინაშე სირცხვილი არ ეჭამა—არ დამარცხებულიყო.

მაგრამ ვანო მართლაც ყოჩაღად იყო: გოჭს თავი უკრა უბეში, საიდანაც შემდეგ მოისმოდა გოჭის ყრუ და ნელი ხვნეშა, როგორც ეს დამარცხებულთ სჩვევიათ.

---

— აგაშენა ღმერთმა... ხვალ ვანოს სტუმარი ვარ... გიყვარდეს გოჭის ხორცი—გავიფიქრე და საპარიკმახეროში შევედი იქავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს, მართლაც, ვესტუმრეთ ორი ამხანაგი.

პატარა ვანომ ზრდილობიანად დიდი ბოდიში მოიხადა:

— ჩვენ, კაცო, ძველი სტილით ვითენებთ ახალ წელს... თუმცა მე დღეს მინდოდა, მაგრამ დედაჩემია სოფლიდან ჩამოსული, და არ დამანება.

ჩვენც აღარ შეგვიცდია დიდი ხანი და საჩქაროდ წამოვედით, რადგან სადმე უნდა „მიგვეჯახირებია" (შევხვედროდით) ახალი წელი.

— საშიკო, შემარცხვინე კაცი... ყველამ გაითენა ახალი წელიწადი და შენ კი არ ჰქენი—უსაყვედურა ვანომ ცოლს.



— ამ ერთი გოჭის მეტი არაფერი გაქვს,—და რით უნდა გაგეთენებია? ამ გოჭს გამოზრდი, მას გოჭები ეყოლება, გოჭები დაღორდება და კიდევ გოჭები ეყოლება... ღორის ჯოგი გვეყოლება; მომავალ ახალ წელს ერთის მაგივრად სამს დავკლავ და ყველას პატივს ვსცემთ... ასე არ სჯობია?..

სიხარულისაგან ვანოს თვალები კინაღამ გადმოსცვინდა...

— კი, მაგრამ, ჩვენ რომ ვამბობთ: ახალ წელს ძველი სტილით ვითენებთო, რომ ვინმე გვესტუმროს ძველი სტილით, მაშინ რას შვრები?!

— ვინც ძველი სტილით მოვა,—ბოდიშსაც არ მოვუხდი; ვეტყვი, რომ ჩვენ, როგორც ეს განათლებულ ხალხშია, ახალი სტილით გავითენეთ.

— ყოჩაღ, საშიკო... ჭკუიანი ქალი ხარ... ვინ სთქვა, რომ ქალებს ჭკუა არა აქვსო?!.. აქვს კი არა მეტი... მაგრამ აქ ჭკუაზე უფრო ეშმაკობაა და ეშმაკობა კი, მართლაც, ქალებს ეშმკებზე მეტი აქვს.

---

ძველ სტილზეც დავაპირეთ მისვლა.

მაგრამ როცა მივუახლოვდით, ვანოდან მომავალი ერთი ამხანაგი შეგვხდა.

— სად მიდიხართ?

— ვანოსთან.

— მე იქიდან მოვდივარ... იქ არაფერი არ არის, სადმე სხვაგან ვიაროთ... ვანოს ახალი სტილით გაუთენებია ახალი წელი.

— აი, დახე... ამ პატარა კაცში რამდენი ეშმაკობაა და მოხერხება. მიწაზე რომ დადის,—სამი იმდენი მიწის ქვეშ არის.

---

მეორე დღეს, როცა ვანო სამსახურში მოვიდა, გვისაყვედურა:

— არ გრცხვენიათ, ამხანაგებო, წუხელის შუაღამემდი გელოდებოდით... აკი გითხარით ახალი სტილის ახალ წელს, რომ მოსულიყავით ძველი სტილის ახალ წელს... მთელი ღამე, გათენებამდი ქეიფი მქონდა...

ჩვენც შევიფერეთ და უთხარით, თითქოს „თავი ვერ გამევიშვით" ერთს ოჯახიდან.

---

სამსახური თავდებოდა, როცა ვანო ჩემთან მოვიდა დაღონებული:

— კაცო, მართალია რომ ამბობენ: კავშირის წევრს უფლება არა აქვს უძრავ-მოძრავი ქონება შეიძინოსო?—შემეკითხა იგი.

— ვაჰხ! მაშ ამდეხანს არ იცოდი?—მეც გაკვირვებით დავუდასტურე.

მიტრიალ-მოტრიალდა... ერთი ოთახიდან მეორეში გავიდა...

სამსახურის შემდეგ, როცა ქუჩაში გამოვედით, ვანომ მითხრა:

— რადგან ახალ წელს შენ ჩემს ოჯახში არ ყოფილხარ, თუ ძმა ხარ ხვალ საღამოს შენ და გერმანემ აუცილებლად გადმოიარეთ... სოფლიდან ერთი ცოცხალი გოჭი ჩამომივიდა და თავი უნდა წავაძრო".

თქვენ როგორ გგონიათ: მე უარს ვეტყოდი?! თქვენ არ მომიკვდეთ! მე დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ გოჭის ხორცი მომიწევდა.

---

— საშიკო, ეშმაკი შეგპარვია ტანში საიდანაც... არ დაუჯერო მას, თუ არ გინდა, რომ კავშირიდანაც გამომაგდონ და სამსახურიდანაც.

— რა იყო? რა დაგემართა? რა გაიგე?

— კავშირის წევრს უფლება არ ჰქონებია უძრავ-მოძრავი ქონება შეიძინოს; გესმის: არ ჰქო...ნე...ბია... მაგი გოჭი ჩვენ დაგვღუპავს... ეს რომ გაგვიგონ, რომ შენ ამ გოჭიდან ღორის ჯოგი უნდა მოაშენო, ოცდაოთხი საათის განმავლობაში პანღურ ამომკრავენ კავშირიდან და სამსახურიდნ... რატომ უნდა ვქნათ ეს? გოჭს როგორ ვანაცვალოთ სამსახური?

---

წუხელის მართლაც ლაზათიანად ვიქეიფეთ ვანოსას და ამ დილით გათენებისას დავბრუნდით სახლში.

ვანომ დღეს გაითენა ახალი წელი.

საწყალი ვანო... საწყალი გოჭი...

ჭინჭარი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა საშინელი დადგა დროება



რა საშინელი დადგა დროება,—
ისე ჩამოვხმი, როგორც ტარანი.
გამოეთხოვა სულს მყუდროება
დამწყდა გული სევდა, ვარამით.



როცა ჩავივლი სოფელში შარას
მშიერ-მწყურვალი და ნაღვლიანი,—
მისტვენენ როგორც სულელს, მასხა-
რას
თითქოს არ ვიყო ადამიანი.



უფრო უარესი დრონი მოდიან,
კარგი არ მელის მე არაფერი;
დარდით ჩამოჰკნა მთლად ფოფოდია
სულ დაეკარგა სახე და ფერი.



რა საშინელი დადგა დროება,
ისე ჩამოვხმი, როგორც ტარანი.
მახსოვს განცხრომა და მყუდროება,
და საქეიფოდ გლეხის მარანი.

ვაი. ბედკრულო ცხოვრებავ ჩემო!
ო, ფოფოდია, მომეც ნუგეში.
გადამავიწყდა სიცოცხლის გემო,
ეხლა ვიხრჩობი ცრემლთა გუბეში.

გავიდა: შობა, ახალი წელი,—
სად არის წირვა და ეკლესია?
თურმე ყოფილა ცოდვები ძველი
რაც მე კურთხევა დამითესია.

შემომეხია ტაძს ანაფორა—
და ფრთა დავარჩე აქ მთლად შიშველი.
ღმერთო, განსაცდელს შენ ამაშორე,
მხოლოდ შენ ერთი მე თუ მიშველი.



აშლენი ფიქრით დამეცა დამბლა,
რევოლიუციამ შემომკრა ტორი.
სად არის ჩემი: საკურთხი, ტაბლა
და დატვირთული ძღვენებით ჯორი.



ჩემს ჯორს საშინლით ამოხდა სული,
ოჯახი სულმთლად გამიპარტახდა;
ო, ქრისტესავით მე ვარ ჯვარცმული,
ვინ ჩამოსხმდალოს რაც თავს გადამხდა.

„ზოიბა“




ფიქრობდა მამა ნიკო,—
სოფელ ნიგორიზღვის მღვდელი:
„ვიშოვე საშოვარი,
„აწ რა მაქვს სადარდელი!?

„სხვა რა შერჩება კაცსა—
„გარდა: ცხოვრება ტკბილი!
„საკბილო სადაც შეგხვდეს,—
„მას უნდა გაჰკრა კბილი“.

მრევლიც ნიკოსა სწყალობს:
ესევა ვით ფუტკარი;
შესვლისთვის აღარ ჰყოფნის
ჩვენი საყდრის ოთხი კარი.

ქალებზე დაჩვეულმა,—
(ქვრივია ნიკო მღვდელი)
იმ ღამეს დიასახლის
მოუფათურა ხელი.

გამოეღვიძა, უთხრა:
„ვინა ხარ?.. აქ რა გინდა?!“
„ახანთს დავეძებ, ქალო,
„და გარედ გასვლა მინდა“.

ქალმა შეჰყვირა: „ვიცი,
„შენ ეხლა რაცა გინდა!
„გატყობ რომ ეშმაკი ხარ
„და არა „სული-წმინდა“



ერთ ღამეს ანდრომ ნიკოს
გაათევინა ღამე...
მეფურად მოასვენა
. . . . . . . .
აწ უნდა გითხრა რამე.

გამოეღვიძა ანდროს,
მოჰკიდა ნიკოს ხელი;
ერთი პანღურის გაკვრით
—მინდორში გარბის მღვდელი.

ნიკომ ბევრს გაუწია
ასეთი სამსახური...
ერთს მის მეზობელს—პრილას
მოსჭამა ცალი ყური.
ნიკოს მეზობელს—პრილას
ქალი ჰყავს მშვენიერი.
ალბად ჩვენს ნიკოს სწვავდა
მისი შნო და იერი.
ნიკო მივიდა, უთხრა:
„მე შენ გაკოცო უნდა
„რაც უნდა დამემართოს—
„პრილასტიმ მომკლას თუნდა“.
და როცა ნიკომ... ამ დროს
გამოჩნდა ქალის ქმარი
გაცოფებული პრილას
მოევარდა როგორც ქარი...
შეჰბორკა ნიკო მღვდელი
ვნებისგან განახური...
სხვა რომ ვერ შესძლო ნიკომ,—
პრილას მოსჭამა ყური.
და მიიყვანა პრალამ
სასამართლოში ნიკო.
**„რატომ მოსჭამეთ ყური?**
**„სთქვით საქმე როგორ იყო?“**
ნიკომ იმართლა თავი:
„მე არ მაქვს მაგის შური.
„მიყვარდა, (ეხლაც მიყვარს),
„როგორც მღვდელს გოჭის ყური.
„წამძლია სულმა,—და მეც
„მოვსჭამე ცალი ყური...
„გთხოვთ გამამართლოთ, რადგან
„მე არ მაქვს მაგის შური“.
გადაუწყვიტეს ნიკოს
ოფეთში სწიროს ხშირად...
პრილასტის ყურის შეჭმა
არ დასჯდომია ძვირად.

ტინტრავა.

# დ. ჩოხატაური

ძნელი არის როცა კაცსა
მიაწყდება რიკზე კუდი;
(ამ შემთხვევას ავადმყოფზე
გავლენა აქვს მეტად ცუდი).
ტკივილს ვეღარ დაიამებს
რამდენიც არ დასცხოს „მაზი“...
ფხანა-ქექვის ქარტეხილში
ადამიანს მოსდის ბრაზი.
აქ ვარესი მოუვიდა
ერთ ჩვენს ნაცნობს „ჭკუის კოლოფს“
კუდის ატირიხინებამ
საქმე უყო ცუდათ ბოლოს...
გახდა მსხვერპლი მწარე ბედის:
„ტარტაროზი“-ს მოხვდა „პიკი“
ისე მაგრად, რომ საცოდავს
მიამტვრია კუდის რიკი.
ამ შემთხვევამ „დონ-ჟუანი“
აატრემლა—აატირა...
სთქვა: „უკუდოთ აღარ ვარგვარ“—
და სიკვდილი დააპირა
მაგრამ, როგორც ყველა ფლიდებს,
თურმე მას ჰყავს „ბიჭებ-ძმები“
კუდის დამყნას ჰპირდებიან.
(ხალხში დადის ასე ხმები)
კარგად ვიცნობ ამ ვაჟებსაც
ვინ ატარებს როგორ ქუდებს
და ვურჩევ, რომ: სჯობს მიხედონ
თავთავიანთ გრძელ-გრძელ კუდებს!..

წაველა.

# ლევარსი როხროხაძე

### მილოცვა

...და დაავლო ტოლუმბაშმა ღვინით სავსე ყანწსა ხელი
და დაიწყო: „მეგობრებო, ვადღეგრძელოთ მასპინძელი...
„თუმც ლევარსი მოგვიხუცდა, კაცი არის მეტად ძველი—
„მაგრამ, აბა, გამოდით,—და ორმა კაცმა ახლეთ ხელი...

„თუ ფოლადი უწინ იყო,—ეხლა არის მაინც რკინა.
**ამ სიტყვებმა ჩვენს ლევარსის გულში ჩიტი გაუფრინა...**
**სიყმაწვილის მოგონებამ თვალების წინ გაურბინა...**
**თავი ვეღარ შეიკავა,—„ხა-ხა-ხა-ხა“ გაიცინა.**

„ჰო-და ასე... ჩვენ ლევარსის მივულოცავთ ახალწელსა...
„ენაცვალოს ჩვენი თავი ჩვენს ლევარსის მოხრილ წელსა...
„ლოცვა მე არ მეხერხება,—და თქვენ ეტყვით მას „რეჩს“ გრძელსა...
„სიცოცხლე და გამარჯვება ჩვენს ლევარსის, მასპინძელსა“

## აქა ამბავი იმისა, თუ როგორ „გაილოცა“ ლევარსიმ ახალი წელი და თუ როდის დაებადა პირველად ღმერთისადმი უნდოგლობა

ახალწლის დილა გათენდა,—ადგა ლევარსის ცოლია.
(მას იმისანა ყოჩაღი მეუღლე სხვა არ ჰყოლია;
არც მეზობლების ქალებში იმას არ ჰყავდა ტოლია)
ყოველგვარ საჭმელებითა გააწყო გრძელი სტოლია.

ბეღლიდან გამოიტანა ნამზითვი დიდი გობია;
(დიდი ხნის უხმარობითა მოჰკიდებოდა ობია)
უთხრა:—ლევარსი, გააწყვე; შენ იცი როგორც სჯობია...
„ყოველგვარ „ჩეჩიტებითა“ ეს გობი შესამკობია.

— შენ გენაცვალოს ლევარსი... რად გინდა ლაპარაკია...
„საუარებელი მე რა მაქვს!? შენი სურვილი რა კია,—
„დეე, მე ვიყო, გენაცვა, შენი მსახური ლაქია“...
დააწყო: საჭმელ-სასმელი, ხეხილი ჩიჩილაკია...



ცოცხლათ: გოჭი და ბატკანი და კიდევ სხვა მრავალია...
წავიდა გობით, დალოცა: სახლი, მარანი, ნალია,
მომავალ წელში ექნება მჭად-ღვინის მოსავალია,
რათა მოყვარემ იხაროს და მტერს დაუდგეს თვალია.

ამნაირ ადათ-წესებით დღესაც ამაყობს გურია...
მიდის ლევარსი, თან მისდევს ღორი და ძაღლი მურია.
(უკანასკნელის ჩვენს გმირსა სიყვარული აქვს ძმურია).
რა იცის—თუ სულს ბოროტსა აქვს მისი მტრობა-შურია.

ხელისგულსავით გზა არის, არ არის: ქვა და ძირია.
არ იხედება წინ გზაზე, სიფრთხილე აღარ სჭირია.
(ანდა რად უნდა, როცა მას თან ახლავს ორი გზირია)
მაგრამ კვანტი ჰკრა ვიღაცამ,—მიწას დაარტყა ცხვირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებული ცხუნკურის თემის (ქუთაისის მაზრა) გლეხობა აუწყებს თავის ნაცნობებს და მეგობრებს, რომ მან დაჰკარგა თავისი საყვარელი და დაუვიწყარი

სახალხო სახლის ასაშენებელი
ხე-ტყე

რომელიც ტრაგიკულად გარდაიცვალა თემის აღმასკომის თავმჯდომარის მიერ.

გამოსვენება მოხდება აღმ. თავმჯდომარის საკუთარ სახლიდან.

## მცივანა ინჟინერი



ქუთაისის საქსოვ ქარხნის ინჟინერი საჭირო საქმეების დროს ძნელი სანახავია. როგორც გამოირკვა, ამ დროს იგი ღუმელთან ზის და ცეცხლის პირას არხეინათ ხძინავს.




„შიშ ლინსკი ბომბს“ (ფარცხანაყაგები).

ფარცხანაყანებს ვინც ეწევა
„იარმარკას“-ს ნახავს.
გრძელ წვერიან „პავლოვიჩსაც“
ყველა დაინახავს.

და ეს წვერიანი „პავლოვიჩი“ როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, უნდა იყოს ვასილი, რომელსაც ადგილობრივ „გლეხების ტყავი“ გაუქაფავს, (საჰნით კი არა,—არამედ მიუთვისებია).

ერთად-ერთი საშუალება შემდეგია: ვასილის ტყავი თუ გამოგადგებათ (თუ გინდ საქალამნეთ) გაატყავეთ, მით უმეტეს მელიას ტყავი მეტს ფასობს ვიდრე სხვა.

**ნ. ემხის** (ოზურგეთი) იწერებით:

მილიცი ლებს რა გვერჩი,
ისეც არ გვწყალობს ბედია;
ერთი აგენტი ჩვენს ხარჯზე
რისთვის ვერ გაგიმეტია.

ალბად, ტარტაროზ, შენ გახსოვს
ოთ თვალთ ამაღლობელი.
რომელსაც ყველა უყვარდა,
ნაცნობი და მახლობელი.

თუ ავათმყოფს მილ ციელს
ურჩევია „სხვისი შურა“
მასეთ მკურნალს დაშვენდება:
გამსახლი, პროკურატურა...

სრული ჭეშმარიტებაა... დაშვენდება და მერე როგორ იცით?!—როგორც არავის... გასახლის გზა არ აებნევა, რადგან ოთხი თვალი ჰქონებია და კარგად დაინახავს.

**მაყურებელს** (ხესტაფონი) ძალიან გაუბრაზებიხართ მოქეიფეებს... ალბათ იმიტომ რომ თქვენ მხოლოდ შორიდან მაყურებელი იყავით, და არა მონაწილე. რა ვუყოთ... თქვენს ქუჩაზედაც იქნება დღესასწაული.

**ბაჩი-კაკას.** (აქ). ვაჟკაცი კაცი ხართ, და თავი როგორ გაგიტაცებდა... ყოველ შემთხვევაში—არ უადა დანებებოდით...

ეს ამბავი მოხდარა კინო „პალას“-ში. გილოცავთ გადარჩენას; საკვირველია: წერილს რატომ უწოდეთ: „უეცარი კატასტროფა“? აკი ცოცხალი გამოსულხართ?

ერიდეთ კინო-თეატრებს, თორემ ჯიბის თავგვებიც შემოგეჩვევათ.

**ალიოშა ხრესილელს** (ქუთაისი) თქვენს ოჯახურ ცხოვრების შესახებ, გვწერთ:

ძმაო, ქალი გამექცა.
(არ მაქვს მასი მადლია).
ენა ჰქონდა მას გრძელი
სწორედ ოთხი ადლია.

ვენ ცვალე, კარგი
მეგონებათ სარია.
ყველა ქალ ბს მირჩევნის
ის ჩემი კესარია.

ჯაი მთელი მაქვს,
სული მაქვს ხოლიცი;
წლოვანებით ვარ
ასე,—ოთხმოცი.

თქვენ კიდევ „ქალის შერთვა“ გინდათ... ნუ თუ არ გაკვირვებიათ: **ოთხმოცი წლის ბებია, ველარ გათხოვდებია.** ეს ანდაზა ბაბუებზედაც არის თქმული.

თქვენ ქალი იმიტომ გაგექცათ, რომ ოთხმოცი წლის ყოფილხართ...

**კიდევ ბაჩი-კაკას** (აქ.)

„ანდრიას ქუჩაზე, შეშის საწყობში ხალხს ატყუილებენ. მართალი საწონი არა აქვთ, ფუთის ნაცვლად იძლევიან ოცდაათ გირვანქას“.

საინტერესოა ათი გირვანქა სიცრუის გაზომვა, თუ რამოდენაა იგი. კარგი იქნ ბოდა მილიციაში გამოგერკვიათ ეს საინტერესო ამბავი.

# „წყალ „ფულ დიდობა“

„ევროპის მრავალ სახელმწიფოებში დაიწყო წყალდიდობა, რომელიც ანადგურებს მრავალ ქალაქებს და სოფლებს“.

ბუდაპეშტში და ბერლინში მოადგება ყალბი სტერლინგები და ფრანკები.

ამ საქმეს ხელმძღვანელობენ სახელმწიფო მოღვაწეები



არის კრიზისი ყველგან,
ხარჯებს არ ჰყოფნის ფული.
ვერ ითმენს სილარიბეს
მინისტრთ და პრინცთა გული

გით ნიაღვარში, ეხლა
ევროპა სცურავს „ფულში.“
ვინ შეედრება იმათს
ურთ-ერთის სიყვარულში.

**ჯაიზარს** (მანდიკორი, ქუთ. მაზრა. ორპირის თემი). თქვენ გვწერთ, რომ მანდ ძალიან გაჩზირებული ყოფილა ფულზე კარტის თამაში, რასაც ყოველთვის ჩხუბი და „დაჰკადაჰკა“ დასდევს.

ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ დაჰკაც თამა ია! (უცხოელები ამ თამაშს ბოქს ეძახიან). ჩვენ მათ ვერ გადავაჩვევთ... შეი ლება ისევ „დაჰკა-დაჰკა“-მ გადააჩვიოს კარტის თამაშს.

**ტუშის** (გამოჩინებულის თემი სანდროს შესახებ თქვენ გვწერთ, (თუმცალა ეს დამჟაველბული ამბავია):

ახალგაზრდები დროს იგი დაიმალა... ბოლოს გამოძვრა... და დიდ კაცად მოევლინა ეხლა... თა ისი მოხსენება ასე გაათავა:

„გაუმარჯოს მებრძოლ კომუნ რ ბს“.

მოქ. ტუში! მართალი უთქვამს სანდროს. ნუ გეშინიათ, მას თავის-თავისთვის არ შეუსხამს ხოტბა.

**კბილის მატლი** (ფოთი).

. . . . .

სამსონს, ვანაჩკას გაიცნობთ,
ყოველდღე რომ ჰყავთ მთვრალები.
წყალ-ღვინოს ძვირად ჰყ დიან,
დაპრაწული აქვთ თვალები.

ვერ ყოფილარიან კარგი მსმელები ფოთში, თუ კი წყალ-ღვინოთ ითვრებიან .. აბაა რომ თავი დავანებოთ, ვერ ყოფილან კარგი ჭკუის პატრონი, რადგან წყალ ღვინოს ერთმა ეთაში ვერ არჩევენ... და ამის შემდეგ, თუ „სამსონ და ვანიჩკას“ დაპრაწული აქვთ თვალები, რა გასაკვირველია?!.. ახია.... კურტანი.

ოთხწლედ სკოლას ინახულებ,
გამგე არის ალექსანდრე.
იგი ცემით მოჰკლავს ბავშვებს,
თუ არ მოდი ჩვენში ადრე.

—:—

ტ ე ლ ე გ რ ა მ ა.

წამოვედი.

ტარტაროზი

ეროვნული ბიბლიოთეკა




საქართ. პროფკავშირების საბჭოს, თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის და საქარ. კომ. პარტიის თბილისის კომიტეტის ყოველდღიური გაზეთი, რომელიც გამოდის ყოველდღიურად რვა გვერდი.

აქვს ყოველკვირეული უფასო დამატება იუმორისტ. ჟურნალ

**ტარტაროზი**

თვიური ხელისმომწერლები იანვარში, ვინც ხელისმოწერის ფულს თავიდან წარმოადგენს მიიღებს უფასოთ

**უცხო სიტყვათა ლექსიკონს**

**გაზეთის ფასი**

| | 1 თვ. | 3 თვ. | 6 თვ. | 1 წლ. |
|---|---|---|---|---|
| მუშებისა და გლეხებისითვის | 70 კ. | 2 მან. | 4 მან. | 7 მ. 50 კ. |
| დანარჩენთათვის . . . . . . . | 85 კ. | 2-40 კ. | 4-80 კ. | 9 — 70 კ. |

„ხოლ—ხამს“ (აქ არსებალის ქუჩა №)... მეეზოვე ზაქროს შესახებ თქვენ გვწერთ:

ოქროულის ნითეულმა
აუბრჭყვინა თვალი ზაქროს,
ეხლა ხშოლოდ იმას ფიქრობს:
თო ივთები სად გააქროს.

მაგრამ მისდაუნ ბურად
მ ს ოთახში ცოცხი დარჩა
და ამიტომც წაემწარა
მო არული ჩითი ფარჩა.

თავისი გასაცოცხავი ცოცხი ოთახშივე დაუტოვებია... რას ერჩით! აიღეთ ეს ცოცხი და გაცოცხეთ თქვენს ეზოდან. ჯერჯერობით სხვა რეცეპტის მოცემა არ შეგვიძლია.

მასაჟირს (დ. სვირი) მივიღეთ თქვენი მოპატიჟების ბარათი:

პირველად მოდი სადგურში,
უთხარი კოლიასათ;
მუდამ დღე-ღამე რას წვალობ
და რისთვის იკლავ თავსაო.

. . . . . . . . . .

. . . . . . . . . .

პასუხად ალბად ილოდებ:
მე მივანდე გრიშასო,
თუმცა კი ვწვალობთ ორივე,
მაგრამ.. არა-რა გვიშავსო.

შ მოგიყვირებს, დაგიბღვერს,
დაგიბაკუნებ ფეხებსო...
ჩვენ გვეშინია ტარტაროზ,
ცუდ რამეს მოგვიხერხებსო.

. . . . . . . . . .

ნატაშა გეტყვის: „ტყვილია
რაც მოუგონეს გრიშასო“.
შვილებს იფიცებს იმ წუთში
და თავს დაახლის ქვიშასო

ჩამოდი, ბიძი, ჩამოდი,
ფეშქეშად მოგცემ ხუთ ძღვენსო.
ხუცებით და ნახეცრებით
მთლად ამოგივსებ მუცელსო.

თუ კი მართლაც ასე საჭიროა ჩვენი ჩამოსვლა, ჩვენ მზად ვართ და მით უფრო თუ ძღვნად ამდენ „წმიდანებს“ მოგვართმევთ.

დღეის სწორს ამ დროზე ჩამოვალ.

## „სისხლის“ „ნაგორ ზღვა“

ორშაბათ დილა თენდება
რა ავი დარი დგებაო.
ხიგოზლვის ფალავანდები
საომრად ემზადებაო.

ნოე ღვინოსა გადაჰკრავს,
იმ წამსვე მაგრად თვრებაო:
სადღაც ბოსელში; თუ სახლში
ნაჯახისათვის ძვრებაო.

ამას ნესტორი გაიგებს
და ნოეს ემუქრებაო
ისე დაგზილავს მაგრადა,
რომ სული გაგიქრებაო.

ნოე ნაჯახით გამორბის.
ნესტორი სარით ხვდებაო.

ერთმანეთს შორის ამათში
სასტიკი ბრძოლა ხდებაო.

მათ უცქერიან მაყრები,
ყველა სიცილით კვდებაო;
„აბა, რომელიც აჯობებს
ვაჟკაციც ის იქნებაო“.

ეჯახებიან, და ნოე
ნესტორას ქვეშ მოჰყვებაო;

მაგრამ წყეული ნაჯახით
ნესტორას თითი წყდებაო;

ცერი მარჯვენ ხელისა
არქივსა ჩაბარდებაო
(თუმცა არქივამდი ჯერ იგი
ხიწაზე დაარდებაო)

ამას ქიქიკო გაიგებს
ნოესკენ გაიქცევაო
და ახლის ყიელა ხორაკი
თავდაღმა წაიქცევაო.

ნოე შეიტყობს ამ ამბავს,
ქიქიკოს ეუბნებაო:
—ჩემო ქათლია რა მიქენ,
ვინ მოგცა ამის ნებაო?!

სირაფთიძ ეს რომ გაიგო
სოფელში იკვიხებაო.
—ჩემი ქიქიკო სავსებით
მამა ჩემს ემსგავსებაო.

ძმაო ტარტაროზ, ასეთი
ჩვენში ხშირ—ხშირად ხდებაო.
ზიხი ჩანგალი ასეთებს
ძალიან მოუხდებაო.

სიტო

## გათომი

არე-მარე დათოვა,
გამიყინა ხელები.
ტანზე არავინ მათხოვა,
შინ მოვსძებნე ძველები.
აქ, ქუჩაში დადიან
მარტო კაბის ამარა.
ერთმანეთს გადაბმიან
თედორე და თამარა.
ხან მზეიც გამოიხედავს,
გაბრწყინდება გორები.
ქეთო დასუსტებულა
მთელ ღამეს ნაგორები.
დათა, სოსო, ვახტანგი
იხრჩვებიან ღვინოში.
პავლემ ნინას პერანგი
შემოგლიჯა კინოში.
აალელვა სურათმა;
ვაჟს ჰკოცნიდა ქალია,—
და თუ მან ქალს აკოცა
ეს რა მისი ბრალია.

პ. ობოლი.








### საექიმო ექიმი

ხარაგოულის კბილის ექიმს იოხვედს ასე ახასიათებს კ—ძე:

**ავადმყოფი:**—ექიმო მიშველე, კბილის ტკივილი მკლავს!

**ექიმი:**—ჩტო... ჩტო... ნიჩოგო... ნიჩოგო.

**ავადმყოფი:**—ექიმო, მოვკვდი, ღრანჭი მომძვრა! არ დავეძებ ასე იყოს.

ექიმი:—ეტო ტაკ ნუჟნო!

— კბილს ხშირად ნახევარი ღრანჭიც ამოჰყვება.

ადამიანს ლოყაზე აჩნდება თვითმშრომელ-ხელოსანთა კავშირის ბეჭდისოდენი ჭრილობა“!

ამგვარად ამ „ექიმმა“ ნახევარი ხალხი დაასახიჩრა“.

ექიმი იოხვედი კბილს აძრობს, ხოლო ავადმყოფს კბილი სტკივა!

რა ეშველება?

მოდი უმტკივნეულოდ ამოვაძროთ ხარაგოულიდან თვით ეს ექიმი და კბილის კურსებზე გავაგზავნოთ სნეული ცოდნის საექიმოთ.

## „უცხო“ სტუმარი!

„ტარტაროზის ძმა“ უცნაურ ამბავს იწერება ხაშურიდან:

„ხაშურის სახალხო სასამართლოში ნოემბრის შუა რიცხვებში გამოცხადდა სიცივეთა მეფე და სასამართლოს თავმჯდომარეს უბრძანა დაუყოვნებლივ დაეცალა მისთვის დარბაზი და კანცელარია. გაჩაღდა ბრძოლა. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდენ როგორც მოსამართლე და მისი თანამშრომლები, ისე დამსწრე მოწმენი, მომჩივარ-მოპასუხენი. სუსტდება ბრძოლაში სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო ძლიერდება და ძალას იკრებს სიცივეთა მეფე“.



ჩვენ ვფიქრობთ, სიცივეთა მეფესთან შებრძოლებას ამ შუა ზამთარში დრო და პირობები არ შეუწყობს ხელს. კარგი იქნება ხაშურის სასამართლოს თავმჯდომარე ამ ბრძოლა მაისის ან ივნისის დამდეგისათვის გადაიტანდეს.

## ა ქ ნ ა ხ ა ვ თ

ბათომის საყუდის შესახებ „სიმართლის მოყვარული“ გვწერს:

„აქ ნახავთ ადეიშვილსა,.
უფროსსა მუშას საყუდის.
მუშებზე კარგა მოპყრობა
ამას ფიქრადაც არ მოდის.
მას შეუყვარდა პურ-ღვინო,
ქეიფი უფასურია—
თუ მუშა ღვინოს არ ასმევს—
ის არის მისი მტერია!“.

ჩვენ არ ვიცით რა ქეიფის გუნებაზე აყენებს ასეთი მოქეიფე უფროსი მუშა საყუდის უფროსს. ის კი ვიცით, რომ ქრთამის აღება თუნდა „ნატურით“ საბჭოთა კარაბადინში არ წერია. თუ ვცდებით—წაიკითხოს ამის შესახებ საყუდის უფროსმა თავისი თვალებით.

## აი, საოცრება

ახალი ამბავი! უცნაური ამბავი!
„შ. შხამის“ სიტყვით თურმე:
„ჯუმათის კუთხის
სკოლის გამგეთ არს ეულისო
სკოლისთვის სულ არ სცალია,
ტურფა ქალებში მღერისო“!
მღერა და ისიც ტურფა ქალებში!
როდის, სად გაგონილა ასეთი ამბავი?

ჭეშმარიტად „აღმაშფოთებელია“ ეს მოვლენა და „შ. შხამიც“ „სამართლიანად“ აღუშფოთებია, თუმცა ტარტაროზი მაინც ფიქრობს:

„ტურფა ქალებში თუ მღერის
მასწავლებელი ელისო,—
თვითონ ეს „შხამი“ იქ იმ დროს
კარებთან რაღას ელისო?
სიმღერა მართლა კარგია,
წერაც კარგია, ძმაო—
მაგრამ არც ძლიერ ტკბილია
ჭორიკანობის შხამია!

## მისაბაძი მაგალითი

თელავიდან „ქოთაო“ გვატყობინებს:

„მაწანწარა ჩვენი ქალაქის განაპირა უბანია. ამ უბანს ჩვენი კომუნალური მეურნეობის განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევს: მან ოთხი ნავი შეუკვეთა უკვე მაწანწარას უბანში ტლაპოში საცურაოთ“.

თელავში ნაოსნობის განვითარებას, რომ ასეთი სერიოზული ყურადღება ექცევა, მეტად სასიხარულოა.

## რა მდგომარეობაშია ხაშურის მე-3 შრომის სკოლა?

ამ კითხვაზე პოეტური „მოხაზულობით“ გვიპასუხებს „ამირანი, რომლის ლექსს ავტორის მართლწერით ვათავსებთ:



ერთხელ პირველმა შრომის სკოლამ იბარტყა და-ა-ა...
მესამე შრომის სკოლა დაყარა...
ნაყარმა თავი ზევით აყარა:...
იმისთანა ადგილს დამყარდა,
სადაც თურმე წყლის კრანტი იმავე დროს გამტყდარა.
არც ამას იქით გაკეთდება, თუ ხმა არავინ გასცა...
ამის გაგონებაზე მკითხველო... დაიჭვებე თუ
სიცილი წაგსქდა...
უწყლობით მოსწავლენი
პირს ალებენ როგორც შაშვები;
ვისაც გევალება ნუ თუ აქამდე რას შვრები?..
ორი დარაჯი წყლის ზიდვას ვერ აუდის ვედრით,
იქავე გაფუჭებული კრანტი აყუდებულა გვერდით;
ერთი ბოჭკა ვიშოვეთ, ვაი იმის შოვნას;
პატარა ბლაჭები ამ ზამთარში....
დაიწყებენ ცურვით ვარჯიშობას...

ამირანი.

## „წმინდა“ ხელობა

გუბის თემიდგან გვატყობინებს „სანსალა“:

გუბის თემში გადაველი
სულ ორი-სამი წელია;
ალმასკომს თვალყურს ვადევნებ,—
წესრიგი მშვენიერია.
მხოლოდ ქუჩებში ქურდები
დაცოცავს როგორც მელია
დამჯდარ დედლებს იპარვენ,
ხორცი აქვს გემრიელია“.

წესრიგი მართლაც „მშვენიერი“ ყოფილა გუბის თემში, თუ ქურდები ქუჩაში დაცოცავენ. მაგრამ უწესრიგობათ მიგვაჩნია „დამჯდარი დედლების“ მოპარვა; ჯერ ხელი აუქნიონ, ააფრინონ და შემდეგ მოიპარონ, თორემ მამლებს გული მოსდისთ:—რაკი ჯდომა არ შეგვიძლია გუბელი ქურდები ყურადღებას აღარ გვაქცევენო! გუბის თემალმასკომო— მეძიეთ მათ მდგომარეობაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ქრისტეს და ახალწლის მსხვერპლნი"



ბებია, აკი შენ ამბობდი, რომ ქრისტე მეტათ კეთილი კაცი იყოო...
ხედავ რამდენი საწყალი ღორები და ცხვრები დაუკლეს!..

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კამოს ქ. 68.